

ფინანსური ანგარიშგება და კომპილაციის ანგარიში

შპს ქეისიბი აღიანსი

31 დეკემბერი 2024



სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება	5
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	7
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	8

შპს გრანტ თორნტონ

ს/ნ: 200136600

იურიდიული მისამართი:

საქართველო, თბილისი,

ისნის რაიონი,

ქეთევან წამებულის გამზირი, № 54

ტ.: +995 322 604 406

Grant Thornton LLC

I/N: 200136600

Legal address:

Georgia, Tbilisi, Isani district,

Ketevan Tsamebuli avenue, № 54

T.: +995 322 604 406

ანგარიში ფინანსური ანგარიშგების კომპილაციაზე

შპს “ქეისიბი ალიანსის” დამფუძნებელს

ჩვენ შევადგინეთ შპს “ქეისიბი ალიანსის” („კომპანია“) ფინანსური ანგარიშგება თქვენს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. ფინანსური ანგარიშგება მოიცავს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, აგრეთვე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვას და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

კომპილაციური გარიგება შევასრულეთ დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტის (დმსს) 4410-ის (გადასინჯული) – “კომპილაციური გარიგებები” – შესაბამისად.

ჩვენ გამოვიყენეთ ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სფეროს შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება, რათა დაგხმარებოდით თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაში, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს). ჩვენ დავიცავით შესაფერისი ეთიკური ნორმები, მათ შორის პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენციისა და სათანადო გულისხმიერების პრინციპები.

ამ ფინანსურ ანგარიშგებასა და მისი კომპილაციისთვის გამოყენებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე თქვენ ხართ პასუხისმგებელი.

ვინაიდან კომპილაციური გარიგება არ არის მარწმუნებელი გარიგება, ჩვენ არ გვევალება თანდართული ფინანსური ანგარიშგების კომპილაციის მიზნებისთვის თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაციის სისწორისა და სისრულის შემოწმება. შესაბამისად, არ წარმოვადგენთ აუდიტორულ მოსაზრებას, არც მიმოხილვის დასკვნას იმის შესახებ, მომზადებულია თუ არა ეს ფინანსური ანგარიშგება, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს).

პაატა შურდია

მმართველი პარტნიორი

1 ოქტომბერი, 2025



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნები	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)	2022 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები		6,852,570	5,200,864	3,995,525
არამატერიალური აქტივები		756	756	756
სულ გრძელვადიანი აქტივები		6,853,326	5,201,620	3,996,281
მიმდინარე აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		1,196,189	1,223,496	454,322
ფული და ფულის ექვივალენტები	4	288,836	182,698	34,239
გაცემული ავანსები და ღარიცხული მისაღები შემოსავალი		145,566	493,162	951
მარაგები		67,953	31,027	43,401
სულ მიმდინარე აქტივები		1,698,544	1,930,383	532,912
სულ აქტივები		8,551,871	7,132,003	4,529,193
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		6,920,093	6,636,533	2,455,054
გაუნაწილებელი მოგება		1,343,800	191,089	(284,701)
სულ კაპიტალი		8,263,893	6,827,622	2,170,353
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები		-	-	2,004,443
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-	2,004,443
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5	285,300	285,717	287,118
გადასახდელი ხელფასები		438	438	-
სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელები		2,240	18,226	67,279
სულ მიმდინარე ვალდებულებები		287,978	304,381	354,397
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		8,551,871	7,132,003	4,529,193

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 1 ოქტომბერს:

გიგა ბუაძე

დირექტორი



ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება უნდა შეესაბამებოდეს მენიშვნებთან (8-15 გვერდებზე) ერთობლივობაში, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

ლარი	შენიშვნები	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)
შემოსავალი რეალიზაციიდან	6	2,289,435	3,976,752
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(324,465)	(60,088)
მთლიანი მოგება		1,964,971	3,916,664
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(827,857)	(3,292,323)
მთლიანი საოპერაციო ხარჯები		(827,857)	(3,292,323)
საოპერაციო მოგება/ზარალი		1,137,113	624,342
საოპერაციო შემოსავალი		6,064	-
საოპერაციო ხარჯი		-	(127,114)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		7,337	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		-	(92,107)
მოგება/ზარალი გაცვლითი კურსის სხვაობიდან	8	2,198	70,669
ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		1,152,711	475,790
მოგების გადასახადი			
წლის წმინდა მოგება		1,152,711	475,790
სხვა სრული შემოსავალი			
სულ სრული შემოსავალი პერიოდისთვის		1,152,711	475,790

გიგა ბუაძე
დირექტორი



მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან (8-15 გვერდებზე) ერთობლიობაში, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

ლარი

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/(ზარალი)	სულ კაპიტალი
2022 წლის 31 დეკემბერი	-	(284,700)	(284,700)
მოგება/(ზარალი) პერიოდის ბოლოს	-	475,790	475,790
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
წლის განმავლობაში მიღებული სრული მოგება	-	475,790	475,790
საწესდებო კაპიტალის ავტორიზებული გაზრდა	6,636,533	-	6,636,533
გადარიცხვები დამფუძნებლებთან	6,636,533	-	6,636,533
2023 წლის 31 დეკემბერი	6,636,533	191,090	6,827,622
მოგება/(ზარალი) პერიოდის ბოლოს	-	1,152,711	1,152,711
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
წლის განმავლობაში მიღებული სრული მოგება	-	1,152,711	1,152,711
საწესდებო კაპიტალის ავტორიზებული გაზრდა	283,560	-	283,560
გადარიცხვები დამფუძნებლებთან	283,560	-	283,560
2024 წლის 31 დეკემბერი	6,920,093	1,343,801	8,263,893

გიგა ბუაძე
დირექტორი



ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლის მოგება მოგების გადასახადამდე	1,152,711	475,790
კორექტირებები:		
ცვლადი და ამორტიზაცია	-	143,274
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი	(2,198)	(70,669)
საოპერაციო შედეგები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე	1,150,513	548,394
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	27,307	(769,173)
ცვლილება სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელებში	(15,985)	(49,053)
ცვლილება ინვენტარში	(36,926)	12,373
ცვლილება გადახდილ ხელფასებში	-	438
ცვლილება გადახდილ ავანსებში	347,596	(492,211)
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(418)	(1,401)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1,472,087	(750,633)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1,472,087	(750,633)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შესაძენად გადახდილი ფული	(1,655,979)	(1,348,613)
ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებული ფული	4,273	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(1,651,706)	(1,348,613)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხი	-	821,002
გადახდილი სესხი	-	(2,825,445)
კაპიტალის შემოსვლა	1,870,965	8,604,477
კაპიტალის გასვლა	(1,587,404)	(4,422,998)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	283,561	2,177,036
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/შემცირება	103,941	77,790
სავალუტო კურსის ეფექტი	2,198	70,669
ფულადი სახსრები და ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	182,698	34,239
ფულადი სახსრები და ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	288,837	182,698

გიგა ბუაძე
დირექტორი



ფულადი ნაკადების ანგარიშგება უნდა იყოს განხილული მენიშვნებთან (8-15 გვერდებზე) ერთობლიობაში, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს „ქეისიბი ალიანსი“ („კომპანია“) დაარსდა 2019 წლის 14 აგვისტოს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (რეგისტრაციისა და საგადასახადო ID: 415105996; რეგისტრირებული თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ) საქართველოს რეგულაციების შესაბამისად და მდებარეობს საქართველოში.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა მოიცავს ტვირთის დატვირთვა-განტვირთვის და სახმელეთო ტრანსპორტთან დაკავშირებული მომსახურების გაწევას. კომპანია ოპერირებს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზრებზე. ეკონომიკური საქმიანობის სახეების საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის კოდი 52240 ტვირთის დატვირთვა-განტვირთვა.

კომპანიის 100% ფლობს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება მს ექენსი (406216893).

ხელმძღვანელები / ოფიციალური წარმომადგენლები

- დირექტორი - გიგა ბუაძე (01008013929).

2024 წელს კომპანიაში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 65 თანამშრომელია.

2 შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად, რომელიც მიღებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ („ბასს“). ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ კომპანია საქმიანობს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით.

2.2 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ღარიბხვის მეთოდსა და ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე.

2.4 შეფასების და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებსა და ხარჯებს. კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობები გამოყენებული, ან სადაც მენეჯმენტის მიერ გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე, განხილულია მე-10 შენიშვნაში.

3 მნიშვნელოვანი საადრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) გადაყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით, რომელიც 2024 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.8068 ლარს და ერთი ევრო შეადგენს 2.9306 ლარს (2022 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.7020 ლარი და ერთი ევრო 2.8844 ლარი; 2023 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.6894 ლარი და ერთი ევრო 2.9753 ლარი).

არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლოს კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ტრანზაქციის განხორციელების დღის კურსით), გარდა სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით. საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარდგენილია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემცირებული თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საიმპორტო გადასახადებს, სხვა არადაბრუნებად გადასახადებსა და შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ სხვა ხარჯებს. როცა ძირითადი საშუალება შედგება რამოდენიმე არსებითი კომპონენტისაგან, რომლებსაც სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, მაშინ ასეთი კომპონენტები აღირიცხებიან ცალ-ცალკე ძირითად საშუალებებად.

აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან მიღებული მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოადგენს სხვაობას მიღებული ანაზღაურების ღირებულებასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ცალკე ერთეულად აღრიცხული ძირითადი საშუალების კომპონენტის ჩანაცვლებასთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულების შესაბამისად, რომელიც ჩამოწერილი იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის აქტივის რემონტის დანახარჯები, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი გაწვევითანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის გამოყენებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. აქტივების სასიცოცხლო პერიოდები ჯგუფების მიხედვით შემდეგნაირია:

მიწა	20 წელი
შენობა-ნაგებობები	20 წელი
მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	10 წელი
ოფისის / ტერიტორიის აღჭურვილობა	5-10 წელი
ავჯი და სხვა ინვენტარი	5 წელი
სხვა ძირითადი საშუალებები	5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	10 წელი

3.3 წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდა აღირიცხება თვითღირებულებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიიღება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა ეხება აქტივს, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგებაში ან ზარალში, როდესაც მიიღება საქონლის ან მომსახურების მიღება, რომელიც დაკავშირებულია წინასწარ გადახდასთან. თუ არსებობს მითითება, რომ წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურება არ მიიღება, წინასწარი გადახდის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარებულია წლის მოგება-ზარალში.

3.4 ფული და ფულის ექვივალენტები

ნაღდი და საბანკო ნაშთები მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში და საბანკო ანგარიშებს.

3.5 კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს აქციონერის შენატანებს კომპანიის წესდებაში. კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის დამფუძნებლის მიერ. კომპანიის კაპიტალში ცვლილებები უნდა განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის აქციონერის გადაწყვეტილების საფუძველზე.

აკუმულირებული ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ ზარალს.

დივიდენდები აღიარებულია როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, როდესაც ისინი გამოცხადებულია.

კომპანიის განთავსებული კაპიტალი ე.წ. საწესდებო კაპიტალი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 6,920,093 ლარს.

3.6 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახდის წარდგენას.

ახალი კანონის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები დაიბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახდით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა).

დივიდენდის გაცემასთან დაკავშირებული მოგების გადასახადი აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მოხდა მისი გამოცხადება. ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85.

2017 წელს და შემდგომში გადახდილი ნებისმიერი დივიდენდის გადასახადის გადახდისათვის, 2016 წლამდე დაგროვილი მოგებიდან, საგადასახადო კრედიტი ხელმისაწვდომია კორპორაციული საშემოსავლო გადასახადისთვის, რომელიც გადახდილია წინა მოდელის მიხედვით გადანაწილებულ მოგებაზე.

კორპორატიული შემოსავლების დაბეგრის ამჟამინდელი კონცეფციის თანახმად, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებს და მათ საგადასახადო ბაზებს შორის დროებითი განსხვავებები არ არსებობს. ამრიგად, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 საშემოსავლო გადასახადი, არ ფორმირდება 2017 წლის 1 იანვრის შემდგომ.

3.7 თანამშრომელთა სარგებელი

მოკლევადიანი თანამშრომლის სარგებელი არის სარგებელი, რომელიც მოსალოდნელია სრულად დაფარული წლიური საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან თორმეტ თვემდე, რომელშიც თანამშრომლები გაწევენ შესაბამის მომსახურებას და მოიცავს:

- ხელფასებსა და ბონუსებს

როდესაც თანამშრომლები მომსახურებას უწევენ კომპანიას საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, კომპანია აღიარებს თანამშრომლების მოკლევადიანი სარგებლის არაპროგნოზირებულ თანხას, რომელიც მოსალოდნელია გადაიხადოს ამ მომსახურების სანაცვლოდ:

- როგორც ვალდებულება (დარიცხული ხარჯი), უკვე გადახდილი თანხის გამოქვითვის შემდეგ. თუ უკვე გადახდილია თანხა გადააჭარბებს სარგებლის არა დისკონტირებულ რაოდენობას, კომპანიამ უნდა აღიაროს ეს ჭარბი აქტივი (წინასწარ გადახდილი ხარჯი) იმდენად, რამდენადაც წინასწარი გადახდა გამოიწვევს მომავალი გადახდების შემცირებას ან ფულად ანაზღაურებას.
- ხარჯის სახით, თუ თანხა არ შედის აქტივის ღირებულებაში.

2024 წლის ბოლოს კომპანიის მიერ თანამშრომლებისთვის გადახდილი სარგებლის ჯამურმა თანხამ შეადგინა 1,405,618 ლარი.

3.8 შემოსავალი

შემოსავალი ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით და წარმოადგენს საკონლისა და მომსახურების ნორმალურ მსვლელობაში მიწოდებულ თანხებს, ფასდაკლებების, მოცულობის ფასდაკლებისა და გაყიდვებთან დაკავშირებული გადასახადების გარეშე.

შპს „ქეისიბი ალიანსის“ კორპორაციის ოპერაციული შემოსავლების სტრუქტურა მჭიდროდ არის დაკავშირებული სატრანსპორტო, ტვირთების დატვირთვა-განტვირთვისა და სხვა სახმელეთო ოპერაციებთან, რომლებიც სტრატეგიულად არის დაყოფილი რამდენიმე მნიშვნელოვან მიმართულებად:

საერთაშორისო გადაზიდვებიდან მიღებული შემოსავალი: ამ სეგმენტში ორგანიზაცია ძირითადად ახორციელებს მომსახურებას ეროვნული საზღვრების მიღმა და, შესაბამისად, გენერირებს მნიშვნელოვან შემოსავალს საერთაშორისო ოპერაციებიდან. ეს მიმართულება წარმოადგენს კომპანიის გლობალური კონკურენტუნარიანობისა და საერთაშორისო ბაზრებზე პოზიციონირების მნიშვნელოვან ინდიკატორს.

ადგილობრივი გადაზიდვებიდან მიღებული შემოსავალი: ამ კატეგორიაში კორპორაცია კონცენტრირებულია შიდა ბაზარზე სატრანსპორტო მომსახურების მიწოდებაზე, რაც წარმოადგენს შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს. ეს სეგმენტი ასახავს კომპანიის უნარს, ეფექტურად მოემსახუროს ადგილობრივ მოთხოვნებს და შეინარჩუნოს მყარი პოზიცია ნაციონალურ ლოგისტიკურ ბაზარზე.

4 ფული და ფულის ექვივალენტები

ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
საბანკო ანგარიში ლარი	278,835	160,348
საბანკო ანგარიში დოლარი	5,985	18,434
საბანკო ანგარიში ევრო	521	349
ნაღდი ფული საღაროში ლარი	3,494	3,567
	<u>288,836</u>	<u>182,698</u>

5 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
რეზიდენტი/არარეზიდენტი კომპანიები	242,536	285,709
ინდივიდუალური მეწარმეები	42,756	-
ფიზიკური პირები	8	8
	<u>285,300</u>	<u>285,717</u>

6 შემოსავლები

ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
შემოსავალი ადგილობრივი გადაზიდვიდან	1,002,079	1,633,076
შემოსავალი საერთაშორისო გადაზიდვიდან	1,287,356	2,343,675
	<u>2,289,435</u>	<u>3,976,751</u>

შემოსავალი აღიარებულია იმ დროს, როდესაც საქონლის ან მომსახურების კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს, იმ ოდენობით, რაც ასახავს შემოსავალს, რომელსაც ორგანიზაცია მოელოდა. შემოსავლის აღიარება ემყარება ხუთსაფეხურიან მოდელს: კონტრაქტის იდენტიფიცირება, შესრულებადი ვალდებულებების განსაზღვრა, ტრანზაქციის ფასის დადგენა, ფასის განაწილება და ვალდებულებების შესრულება.

7 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ხელფასის ხარჯი	610,063	1,196,418
სხვა საერთო ხარჯი	62,661	1,710,942
დაცვის ხარჯი	44,068	-
კომუნალურის ხარჯი	26,220	52,486
ქირის ხარჯი	23,885	43,195
დაზღვევის ხარჯი	20,482	87,801
საპენსიო ხარჯი	10,600	23,479
მანქანის ხარჯი	6,761	-
სხვა საგადასახადო ხარჯი	5,820	-
ოფისის ხარჯი	5,299	17
კომუნიკაციის ხარჯი	4,760	6,401
საბანკო ხარჯი	4,550	-
საკონსულტაციო ხარჯი	1,695	963
კომპიუტერის ხარჯი	994	3,995
ტრასპორტირების ხარჯი	-	19,629
ცვეთა და ამორტიზაცია	-	143,274
	827,857	3,284,877

8 მოგება/ზარალი გაცვლითი კურსის სხვაობიდან

ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
მოგება გაცვლითი კურსის სხვაობიდან	2,902	92,744
ზარალი გაცვლითი კურსის სხვაობიდან	(704)	(22,075)
	2,198	70,669

9 წინა წლების ფინანსური ანგარიშგების გადაანგარიშება

ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი (წარდგენილი)	კორექტირება	2023 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)
კორექტირება			
საწესდებო კაპიტალი	6,508,073	128,460	6,636,533
გაუნაწილებელი მოგება	860,427	(669,338)	191,089
მთლიანი კაპიტალის ეფექტი	7,368,500	(540,878)	6,827,622
ძირითადი საშუალებები	6,395,753	(1,194,889)	5,200,864
არამატერიალური აქტივები	2,497	(1,741)	756
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	728,171	495,325	1,223,496
ფული და ფულის ექვივალენტები	181,471	1,227	182,698

გაცემული ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	361,678	131,484	493,162
მარაგები	20,065	10,962	31,027
მთლიანი მოთხოვნების ეფექტი	7,689,635	(557,632)	7,132,003
გრძელვადიანი სესხები	-	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	312,830	(27,113)	285,717
გადასახდელი ხელფასები	8,305	(7,867)	438
სახელმწიფო ბიუჯეტში	-	-	-
გადასახდელები	-	18,226	18,226
მთლიანი ვალდებულებების ეფექტი	321,135	(16,754)	304,381
კორექტირება			
შემოსავალი	3,931,974	44,778	3,976,752
რეალიზებული პროდუქციის			
თვითღირებულება	(1,420,282)	1,360,194	(60,088)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	(1,592,070)	(1,700,253)	(3,292,323)
საპროცენტო ხარჯი	-	(127,114)	(127,114)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(60,756)	(31,351)	(92,107)
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	-	-	-
მოგება/ზარალი გაცვლითი კურსის			
სხვაობიდან	236,046	(165,377)	70,669
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-	-
მთლიანი ხარჯების ეფექტი	1,094,912	(619,123)	475,789

ლარი	2022 წლის 31 დეკემბერი (წარდგენილი)	კორექტირება	2022 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)
კორექტირება			
საწესდებო კაპიტალი	2,376,593	78,461	2,455,054
გაუნაწილებელი მოგება	(436,377)	151,676	(284,701)
მთლიანი კაპიტალის ეფექტი	1,940,216	230,137	2,170,353
ძირითადი საშუალებები	4,155,843	(160,318)	3,995,525
არამატერიალური აქტივები	3,071	(2,315)	756
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	202,519	251,803	454,322
ფული და ფულის ექვივალენტები	30,614	3,625	34,239
გაცემული ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	12,114	(11,163)	951
მარაგები	187,479	(144,078)	43,401
მთლიანი მოთხოვნების ეფექტი	4,591,640	(62,447)	4,529,193
გრძელვადიანი სესხები	2,372,000	(367,557)	2,004,443
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	227,381	59,737	287,118
გადასახდელი ხელფასები	-	-	-
სახელმწიფო ბიუჯეტში	-	-	-
გადასახდელები	52,043	15,236	67,279
მთლიანი ვალდებულებების ეფექტი	2,651,424	(292,584)	2,358,840
კორექტირება			

შემოსავალი	3,936,103	5,209	3,941,312
რეალიზებული პროდუქციის			
თვითღირებულება	-	(108,854)	(108,854)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	(3,232,567)	138,792	(3,093,775)
საპროცენტო ხარჯი	-	(201,723)	(201,723)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(161,047)	141,822	(19,225)
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	-	47,534	47,534
მოგება/ზარალი გაცვლითი კურსის			
სხვაობიდან	-	303,424	303,424
მოგების გადასახადის ხარჯი	(882)	882	-
მთლიანი ხარჯების ეფექტი	541,607	327,086	868,693

10 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და მსჯელობები

დაშვებები და მსჯელობები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას, ამასთან გაითვალისწინება სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენების განვითარებასთან დაკავშირებული მოლოდინები, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციაში გონივრულად მიიჩნევა.

ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ვადები

ხელმძღვანელობამ შეაფასა ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის ხანგრძლივობა. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური მომსახურების ვადის ხანგრძლივობისგან. თუ რეალური სასარგებლო მომსახურების ვადა განსხვავდება ამ შეფასებებისგან, მაშინ ფინანსური ანგარიშგებები არსებითად განსხვავებული იქნება.

10.1 ვარაუდი ფუნქციონირებასთან დაკავშირებით

ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას მენეჯმენტი აფასებს კომპანიის შესაძლებლობას გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპის საფუძველზე, ვინაიდან მენეჯმენტს არ აქვს არც განზრახვა და არც საჭიროება კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის შეწყვეტის შესახებ.

11 დაკავშირებული მხარეები

კომპანიას დაკავშირებული მხარეა მისი 100%-იანი წილის მფლობელი კომპანია შუზლუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება მს ეჯენსი (406216893).

11.1 კონტროლირებადი ურთიერთობები

ფილიალის 100%-იანი მფლობელია შუზლუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს მს ეჯენსი (406216893).

12 შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში ასახვას.